

[← უკან](#)[«წინა შემდეგ»](#)

საკასაციო საჩივარი			
საქმის ნომერი	ას-269-2019	კატეგორია	შრომის სამართლებრივი დავა
თარიღი	27/10/2021	სახეობა	სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ
შედეგი	გაუქმდა და მიღებულია ახალი გადაწყვეტილება	დავის საგანი	სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ

გადაწყვეტილება/განჩინება

საქმე№ას-269-2019

27 ოქტომბერი, 2021 წელი
ქ. თბილისისამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა:მირანდა ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
მოსამართლეები: თამარ ზამბახიძე,
ზურაბ ძლიერიშვილი

საქმის განხილვის ფორმა _ ზეპირი განხილვის გარეშე

კასატორი - დ.ქ-ი (მოსარჩელე)

მოწინააღმდეგე მხარე – სს „თ-ი“ (მოპასუხე)

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 02 აგვისტოს გადაწყვეტილება

კასატორის მოთხოვნა _ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება

დავის საგანი _ თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა, იძულებითი განაცდურისა და ანაზღაურების დაყოვნებისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დ.ქ-ი (შემდეგში - მოსარჩელე, კასატორი, დასაქმებული) 2003 წლის 1 ოქტომბრიდან სს „თ-ში“ (შემდეგში - მოპასუხე, დამსაქმებელი) დასაქმებული იყო განსხვავებული შრომის ანაზღაურების პირობით დადებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე სხვადასხვა თანამდებობაზე.
2. დამსაქმებელსა და პროფკომიტეტს შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულების 2.2. პუნქტის თანახმად, 2006 წლის 6 ოქტომბრიდან, ვადიანი შრომითი კონტრაქტების საფუძველზე, 3 წლისა და მეტი ხნის მანძილზე მომუშავე

- სხვადასხვა თანამშრომელთან ერთად, მოსარჩელე დამსაქმებელმა მუდმივ საშტატო ერთეულზე გადაიყვანა (ტ.1.ს.ფ. 71).
3. 2006 წლის 1 ნოემბრიდან დასაქმებული გადაყვანილ იქნა ელენერგის გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის თანამდებობიდან დამსაქმებელი კომპანიის ენერგოგასაღების დირექტორად 31.10.2017წ-მდე, მათ შორის - სამი თვის საგამოცდო ვადით, ხელფასის 6500 ლარის ანაზღაურებით.
4. 2009 წლის 3 ნოემბრიდან კომერციული საქმიანობის სამმართველოს დირექტორის ადგილზე დასაქმებულ მოსარჩელეს, შრომითი ხელშეკრულების ვადა გაუგრძელდა არაერთხელ, თითოეულ შემთხვევაში ერთი წლით, შრომით ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ბოლო შეთანხმებითა და 25.10.2011წ. ბრძანების საფუძველზე, შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით დროის მონაკვეთით.
5. 2008 წლის 3 ნოემბრიდან, შრომის ხელშეკრულების 5.1 პუნქტში შეტანილი ცვლილების თანახმად, მოსარჩელის შრომის ანაზღაურება - 15 810 ლარით (დარიცხული)განისაზღვრა(ტ.1.ს.ფ. 60-67).
6. დამსაქმებლის 18.06.2012წ. #კ-107 ბრძანებით, დასაქმებული საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში - სშკ-ის) 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან (ტ.1.ს.ფ. 72).
7. 2012 წლის 14 ივნისიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით სამსახურიდან თანამშრომლების დათხოვნის ფაქტის შესწავლის მიზნით პროფკომიტეტის წევრთა მონაწილეობით შექმნილმა დამსაქმებელი კომპანიის ადმინისტრაციის კომისიამ 2012 წლის 1 ნოემბრის დასკვნით დაადგინა ფაქტი მასზედ, რომ „2012 წლის 14 ივნისიდან ყოფილი ხელისუფლების მხრიდან აქტიურად დაიწყო სს „თ-ის“ როგორც ფინანსური, ასევე ადამიანური რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო მიზნებისათვის, რაც გამოიხატა ზ.ა-ის და სხვების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნით, რასაც შედეგად მოყვა სს „თ-ის“ თანამშრომელთა მხრიდან ე.წ. „საკუთარი განცხადების“ საფუძველზე სამსახურიდან გათავისუფლება. აღნიშნული ხორციელდებოდა სს „თ-ის“ ახალი ხელმძღვანელობის მხრიდან იძულების, შანტაჟის და დაშინების მეთოდების გამოყენების გზით.“ კომისიის დასკვნით რეკომენდირებულ იქნა: 1. 2012 წლის 14 ივნისიდან 29 ოქტომბრის ჩათვლით მოკასუხე ორგანიზაციაში მიღებული თანამშრომლების გათავისუფლება და იმავე პერიოდში სს „საკუთარი განცხადების“ საფუძველზე გათავისუფლებული ყველა თანამშრომლის გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა.
8. დამსაქმებელი კომპანიის გენერალური დირექტორის ა. მ-ის 08.11.2012წ. წერილით კომერციული დირექტორის მოვალეობის შემსრულებელსა და პერსონალური მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელს დაევალა, 2012 წლის 12 ნოემბრის ჩათვლით მოემზადებინა კონკრეტული შეთავაზებები (პერსონალური სია) 2012 წლის ივნისი-ოქტომბრამდე პერიოდის განმავლობაში პირადი განცხადებით გათავისუფლებულ თანამშრომელთა სამსახურში მიღების თაობაზე იგივე თანამდებობებზე და იგივე ხელფასის განაკვეთით.

9. მოსარჩელის მოთხოვნა:

9.1. 2015 წლის 17 თებერვალს დასაქმებულმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება და მოკასუხისათვის შრომითი პირგასამტეხლოს დაკისრება მოითხოვა.

9.2. მოსარჩელის მტკიცებით, ის სამსახურიდან გათავისუფლდა დამსაქმებლის ხელმძღვანელობისა და მესამე პირთა (ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა) მხრიდან განხორციელებული იძულებისა და მუქარის შედეგად დაწერილი პირადი

განცხადების საფუძველზე, რომლის ტექსტი იდენტურია იმ გათავისუფლებულ თანამშრომელთა სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე დაწერილი პირადი განცხადებებისა, რომელთა ნაწილი 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდგომ სამსახურში აღადგინა დასაქმებელმა, ხოლო ნაწილი კი, სამუშაოზე აღდგა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე. ამავდროულად, მოსარჩელის მოსაზრებით, დამსაქმებელს მასთან გაფორმებული ჰქონდა განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ დავაზე გამოკვეთილი იყო მისი სამუშაოზე აღდგენის სამართლებრივი საფუძველები.

10. მოპასუხის პოზიცია:

10.1. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და უარყო მისი მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან წასვლის მიზნით იძულება. ამასთან, მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელეს სსკის 89-ე მუხლით (იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან) გათვალისწინებულ ერთწლიან ვადაში საცილოდ არ გაუხდია ნების გამოვლენის ნამდვილობა, რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ შესაძლებლობას.

11. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 26 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სასამართლომ ბათილად ცნო დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე დამსაქმებლის 2012 წლის 18 ივნისის ბრძანება. სასამართლოს შეფასებით, დასაქმებულთან დადებული იყო ვადიანი ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადა 2012 წლის 2 ნოემბერს ამოიწურა, შესაბამისად, სასამართლომ მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 2012 წლის 18 ივნისიდან 2 ნოემბრამდე პერიოდის შესატყვისი კომპენსაციის - თვეში 15 810 ლარის გადახდა დასაქმებულის ხელფასის გათვალისწინებით დააკისრა. სამუშაოზე აღდგენის, იძულებით განაცდურის ანაზღაურებისა და დამსაქმებლისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე დასაქმებულის მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. პირველი ინსტანციის სასამართლოს განხჯით, მოსარჩელის მიერ სამსახურიდან წასვლა განპირობებული იყო იძულებით. სარჩელის საფუძვლიანობის საკითხის შეფასებისას, სასამართლომ იძულებით დადებული საცილო გარიგებისა და დელიქტური ვალდებულების მომწესრიგებელი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმებით იხელმძღვანელა.

12. მხარეთა სააპელაციო საჩივრები:

აღნიშნული გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. მოსარჩელემ საქმეზე წარდგენილი სააპელაციო საჩივრით გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა იმ ნაწილში, რომლითაც უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. მოპასუხემ კი, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და სამართლებრივი შეფასებები:

13.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით, დასაქმებულის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო დამსაქმებლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვემოთხსენიებული ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, დასაქმებულის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

13.2. მოსარჩელის ახსნაგანმარტებისა და საჩივრი წარმოდგენილი მტკიცებულებების

(მოსარჩელის მიერ სამსახურიდან წასვლის შემდეგ უმაღლესი კვების დატოვებისა და დაბრუნების თარიღების ამსახველი საპასპორტო ჩანაწერის, დამსაქმებელი ორგანიზაციიდან იმავე პერიოდში დასაქმებულთა მასობრივი დათხოვნისა და შემდგომ მათი თანამდებობაზე აღდგენის ინიცირების, ასევე - მასობრივად დათხოვნილ პირთა თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, მოწმეთა ჩვენების) საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ დასაქმებულმა თანამდებობის დატოვების თაობაზე ნება იძულებით გამოავლინა, თუმცა, სააპელაციო პალატის შეფასებით, დამსაქმებელი არ წარმოადგენდა დასაქმებულის თანამდებობიდან წასვლის იძულების წყაროს, ამასთან, პალატის განსჯით, დასაქმებულისა და მისი ოჯახის მიმართ მუქარა, რომელიც მოსარჩელის მიერ თანამდებობის დატოვებას ემსახურებოდა, არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილებისა და მოსარჩელის საქართველოში დაბრუნების (2012 წლის 8 ოქტომბრის) დროისთვის დასრულდა. შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ სამსახურიდან მისი გათავისუფლება სადავოდ მხოლოდ 2015 წელს გახადა, სააპელაციო პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მიერ სსკ-ის 89-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შეცილების ვადის გაშვებისა და, აქედან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის გაქარწყლების თაობაზე მოპასუხის პოზიცია.

13.3. სააპელაციო პალატის შეფასებით, სარჩელით შედავებულია შრომით სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი საკითხი, რისი გათვალისწინებითაც პალატამ არამართებულად მიიჩნია დელიქტური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების სადავო შემთხვევის მიმართ გამოყენება.

14. საკასაციო მოთხოვნა და მისი საფუძველები:

14.1. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა დასაქმებულმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილებით, სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე დამსაქმებლის სადავო ბრძანების ბათილად ცნობა, დამსაქმებელ კომპანიაში გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებით განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

14.2. საკასაციო პრეტენზია შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

14.2.1. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად განსაზღვრა მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ არსებული იძულების დასრულების თარიღი, ვინაიდან სასამართლომ იძულების დასრულება არასწორად დაუკავშირა ხელისუფლების ცვლილებას. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს არ გაუმახვილებია ყურადღება და სამართლებრივად არ შეუფასებია მოწმეთა ჩვენება და მისი ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ იძულება მისი ოჯახის საქართველოში დაბრუნების შემდეგაც, მათ შორის - სარჩელის შეტანის შემდეგაც გაგრძელდა.

14.2.2. კასატორის მოსაზრებით, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე მის მიერ გამოვლენილი ნება ბათილია სსკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე, რაც თავისთავად გამორიცხავს მოსარჩელის მიერ იძულებით დადებული გარიგებისათვის სსკ-ის 89-ე მუხლით დადგენილი შეცილების ერთწლიანი ვადის გაშვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის მართებულობას. კასატორის განმარტებით, ამორალური და მართლსაწინააღმდეგო გარიგების ბათილად ცნობის მოთხოვნის მიმართ ვრცელდება ხანდაზმულობის 10-წლიანი ვადა, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ განსახილველ დავას მისადაგებული სსკ-ის 89-ე მუხლი საფუძველად ვერ დაედება სარჩელის ხანდაზმულად მიჩნევასა და მასზე აპელირებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარს.

14.2.3. კასატორის განმარტებით, სამსახურიდან გათავისუფლებამდე მის მიერ

დაკავებული თანამდებობა ყოფილი ხელისუფლების ინტერესის საგანს წარმოადგენდა, რასაც სააპელაციო სასამართლოც დაეთანხმა, თუმცა, ამავდროულად, აღნიშნა, რომ საქმეში დაცული მტკიცებულებებით დასაქმებულის იძულება უშუალოდ დამსაქმებლისგან არ დადასტურდა. კასატორი სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობის საპირისპიროდ მოიხმობს სსკ-ის 85-ე მუხლის დანაწესს, რომლის საფუძველზე გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება არსებობს მაშინაც, როდესაც იძულება მესამე პირების მხრიდან მომდინარეობს, შესაბამისად კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა ამ კონტექსტში ეწინააღმდეგება საკანონმდებლო დანაწესს. ამასთან, კასატორის მითითებით, საქმეში დაცული მტკიცებულებებით დასტურდება მუქარა და იძულება - როგორც სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე - დამსაქმებელი კომპანიის მხრიდან.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი:

15.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 მარტის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო, ამავე პალატის 2021 წლის 17 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). **დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.**

17. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

18. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი სადავოდ ხდის მის მიერ სამსახურიდან წასვლის თაობაზე გამოვლენილი ნების ნამდვილობას, კერძოდ, მისი მტკიცებით, სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ფორმალურად გამოხატული ნება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სასამართლოს დასავლეთი სსკ-ის სსკ-ის დადგენილი კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან იძულების (მუქარის) გამოყენებით. მოსარჩელის ამ მოთხოვნის წინააღმდეგე მოპასუხე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ის) 89-ე მუხლით დადგენილი იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადის გაშვებასა და, აქედან გამომდინარე, იძულების ფაქტზე დამყარებული სასარჩელო მოთხოვნის გაქარწყლებაზე აპელირებს. სარჩელის დაკმაყოფილებაზე სააპელაციო სასამართლოს უარიც მოპასუხის ამ შედავების გაზიარებას ეფუძნება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს განსჯის საგანია, ერთი მხრივ, დასაქმებულის მიერ გარეგნულად გამოხატული ნების იურიდიული ძალის გამორკვევა და ამ საკითხზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი დასკვნების მართებულობის შეფასება, ხოლო, მეორე მხრივ, ნების გამოვლენის ნაკლის დადგენის შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის კანონისმიერი წინაპირობების შემოწმება.

19. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე იძულებაზე უთითებს, რაც სასამართლოს მიერ სსკ-ის 85-ე და 89-ე მუხლის წინაპირობების შემოწმებას საჭიროებს; სსკ-ის 85-ე მუხლი ადგენს: „გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობდა მესამე პირისაგან“; ამასთან, იძულება არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი შეფასების საკითხია. სამოქალაქო კოდექსის 85-ე-89-ე მუხლებით განსაზღვრული გარიგების იძულებით დადება სამართლებრივი კატეგორიაა და სასამართლო ნორმით გათვალისწინებული შედეგის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს მხარის მიერ მითითებული ფაქტებითა და ამ ფაქტების დადასტურების მიზნით წარდგენილი მტკიცებულებებით, რომლებიც ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობას უნდა ქმნიდეს. (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება №ას-664-635-2016, 02.03.2017წ.,).

20. განსახილველი სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე კომპანიაში დასაქმებულის გათავისუფლებამდე არსებულ შრომით სამართლებრივი ურთიერთობებში აღდგენას ემსახურება, რაც, ცხადია, შრომის სამართლის მოწესრიგების სფეროს განეკუთვნება, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელე ამ მიზნის მიღწევას ნების გამოვლენის თავისუფლებაში უხეშ ჩარევას უკავშირებს, სარჩელის საფუძვლიანობის, მისი დაკმაყოფილების წინაპირობების განსაზღვრა შრომითსამართლებრივი და სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების კონკურენციის პირობებში, მოთხოვნის მართებულობის, მტკიცების ტვირთის განაწილებისა თუ მოთხოვნის ნამდვილობის/ ხანდაზმულობის შეფასებისას, სამოქალაქოსამართლებრივ ნორმებს უნდა დაეფუძნოს.

21. საკასაციო პალატა მოკლედ შეეხება შრომითსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში წამოჭრილი სამოქალაქოსამართლებრივი კომპონენტის - იძულებით დადებული გარიგების მტკიცების ტვირთის განაწილების წესს და აღნიშნავს, რომ განსახილველი დავის გადაწყვეტის პროცესში განსაზღვრელია არა სახელშეკრულებო ურთიერთობის შრომითსამართლებრივი წარმომავლობა, არამედ მოსარჩელის უფლების დარღვევა, რა სამართლებრივ ურთიერთობას ეფუძნება. შესაბამისად, დავის ბედი არსებითად დამოკიდებულია იძულების ზეგავლენით მოსარჩელის ნების დაუშვებელი ხელყოფის გამოვლენასა და მისგან გამომდინარე სამართლებრივ შედეგებზე, რაც მტკიცების ტვირთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მოქმედი სტანდარტის გამოყენების მართებულობაზე მიუთითებს. ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში, რომლის თანახმად „თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით მოსარჩელეთა მიერ ხელმოწერილი განცხადებების არსებობის

პირობებში, ძოქედებს აღნიშნულ დოკუმენტში ძხარის ძიერ გამოხატული ხების ნამდვილობის პრეზუმფცია. საწინააღმდეგოს დადასტურება კი იმ მხარის მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაა, რომელიც აღნიშნულ განცხადებას სადავოდ ხდის.“
(*შდრ. სუსგ N649-616-2014, 5.11.14წ., N147-139-2017, 18.12.17წ., N543-2020, 24.02.21წ.*) .

21.1. შრომით სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური სტანდარტისაგან განსხვავებით, როდესაც დამსაქმებელს ევალება, ამტკიცოს დასაქმებულის სამსახურიდან წასვლის მართლობიერება, სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებული მტკიცების ტვირთის ზოგადი წესის თანახმად, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლებში მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით დაადასტურონ ეს ფაქტები. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებებს. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. **მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს.**

22. კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელემ საქმეზე არაერთი მტკიცებულება წარმოადგინა. საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებების შეფასების შედეგად პალატა მიიჩნევს, რომ დასაქმებულის დამსაქმებლისადმი სამუშაოდან გათავისუფლების მოთხოვნით მიმართვა მოტივირებული იყო მაიძულებელი ეფექტით. დამსაქმებელი კომპანიის მიერ ადგილი ქონდა დასაქმებულისათვის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე განცხადების დაწერის დაჟინებულ და არარეორტეზის მოთხოვნას.

22.1. საკასაციო პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლზე მითითებით განმარტავს, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ დასკვნა გამოაქვს. განსახილველ შემთხვევაში მტკიცებულებების ერთობლივად განხილვა, შეპირისპირება, მოვლენათა ურთიერთთანხვედრა და გაანალიზება ადასტურებს, რომ მოსარჩელე დაუშვებელი იძულების მსხვერპლს წარმოადგენდა. უფრო დეტალური განმარტებისთვის, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო თანამდებობის დატოვების მიზნით მოსარჩელის იძულების თაობაზე იზიარებს მოწმედ დაკითხული მოსარჩელის მეუღლის ან სხვა მოწმეთა ჩვენებას არა უპირობოდ, რომელთა მიუკერძოებლობისა და ინფორმაციის ობიექტურად და ჭეშმარიტად გადმოცემის მიმართ ეჭვს გამოთქვამს მოპასუხე, არამედ მოწმეთა ჩვენებების შინაარსის ურთიერთთანხვედრის, მოსარჩელის მიერ გათავისუფლებისთანავე ქვეყნის დატოვების (22.06.2012წ), ხოლო, ხელისუფლების ცვლილების შემდგომ უმაღვე დაბრუნების (8.10.2012წ), მოსარჩელის გათავისუფლების თანადროულად, ივნის-ოქტომბრის ინტერვალში დამსაქმებელი კომპანიიდან დასაქმებულთა პირადი განცხადების საფუძველზე მასობრივი გათავისუფლების, ხელისუფლების ცვლილებიდან მალევე კი, თავად დამსაქმებლის იმავე ხელმძღვანელობის ინიციატივით მითითებულ პერიოდში პირადი განცხადებით გათავისუფლებულ

ყველა დასაქმებულის სამუშაოზე აღდგენის ინიცირების ერთმანეთთან დაკავშირებულად, ერთობლივად შეფასების შედეგად. დამსაქმებლის ქმედების უჩვეულობის გათვალისწინებით, ეს უკანასკნელი მტკიცებულება განიხილება სადავო პერიოდში საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ პირთა (მათ შორის მოსარჩელის) მიერ თანამდებობების იძულებით დატოვების არაპირდაპირ მტკიცებულებად.

22.2. ზემოთ ჩამოთვლილ მტკიცებულებებთან ერთად იძულების გარემოების დადგენის საკითხზე კიდევ ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს სადავო პერიოდში პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებულ პირთა სამუშაოზე აღდგენის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. მოხმობილი გადაწყვეტილების მტკიცებულებითი ძალის შეფასებისას საკასაციო პალატა, რა თქმა უნდა, იზიარებს პრეიუდიციული მნიშვნელობის გამომრიცხავობის თაობაზე მოპასუხის პოზიციას, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ სადავო გადაწყვეტილებას ამ დავის გადაწყვეტის მნიშვნელობისათვის არა პრეიუდიციული, არამედ რიგითი მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს, რაც ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდება. იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილების პრეიუდიციულობისას ერთ სამოქალაქო საქმეზე დადგენილი ფაქტები დამტკიცებულად მიიჩნევა იმავე მხარეთა მონაწილეობით არსებულ სხვა დავაზე, გადაწყვეტილების პრეიუდიციულობის გამორიცხვისას, გადაწყვეტილება, რომელიც არსობრივად ახლოს დგას განსახილველ შემთხვევასთან და იდენტურ ვითარებაში გათავისუფლებულ პირთა მიმართ სამართალწარმოების ფარგლებში დამდგარ შედეგს ასახავს, ცხადია, საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ერთად მოსამართლეს უქმნის შინაგან რწმენას იძულების დასადგენად.

22.3. გარდა ზემოთქმულისა, ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მოსარჩელე მოპასუხე კომპანიაში დასაქმებული იყო სოლიდურ/მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე, რომელიც განეკუთვნებოდა მაღალ კარიერულ საფეხურს. მოსარჩელე დასაქმებული იყო მოპასუხე კომპანიაში ერთ-ერთ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს დასაქმებულის მიერ სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ნების გამოვლენის სათულოობას, მაშინ, როდესაც მოსარჩელის სამსახურიდან წასვლის მიზეზს არ წარმოადგენდა სხვა დაწესებულებაში უკეთესი სასამსახურო პირობებით დასაქმება. საკასაციო პალატის განსჯით, ძნელი წარმოსადგენია მაღალ კარიერულ საფეხურზე მყოფი და სოლიდური ანაზღაურების მქონე პირის მიერ სამსახურიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება კონკრეტული განმაპირობებელი გარემოებების გარეშე (დაწინაურება, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ), რაც დასაქმებულის ნებელობაში ჩაურევლობის თაობაზე კითხვის ნიშანს, საქმეში დაცული იძულების დამადასტურებელი მტკიცებულებებისგან დამოუკიდებლადაც აჩენს. მოსარჩელის - როგორც სანიმუშო თანამშრომლის მიმართ დამსაქმებელი კომპანიის მიერ გამოყენებული წახალისების ზომები კი (მაღლობის გამოცხადება, პრემია), ცხადყოფს, რომ დამსაქმებელი კომპანია, თავის მხრივ, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო კვალიფიციური კადრის შენარჩუნებით, თუმცა მოპასუხეს ამ დავის ფარგლებში არც კი უცდია დაემტკიცებინა, რომ მან ქმედითი ზომები მიიღო ამ მიმართულებით. ეს, კი დამსაქმებელ კომპანიაში მიმდინარე ზემოთ აღწერილი პროცესებთან ერთად კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს დამსაქმებლის ქმედების უჩვეულობას.

22.4. ამრიგად, მოსარჩელის მიერ მასზე განხორციელებული იძულების დასადგენად წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნის დასაბუთებული ვარაუდის

საფუძველს, რომ მოსარჩელემ წარმატებით დაძლია მისთვის განკუთვნილი მტკიცების ტვირთი. ამის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სამართალწარმოების ფარგლებში მოპასუხემ ვერ შეძლო იმგვარი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც გააბათილებდა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. მოპასუხე პრაქტიკულად, არსებითად დაეყრდნო შევილების ვადის გაშვებისა და, აქედან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის გაქარწყლების დასაბუთებას.

23. იძულების შედეგად დადებული გარიგების სსკ-ის 89-ე მუხლით დაწესებულ ერთწლიან ვადაში შევილების საკითხთან დაკავშირებით, პალატა განმარტავს, რომ ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილველი სასარჩელო მოთხოვნის მიმართ რელევანტური სამართლებრივი საფუძვლის სწორად მისადაგების თვალსაზრისით. საკასაციო პალატის განმარტებით, შევილების ვადის დაცვა იძულებით დადებული გარიგების სადავობისას განმსაზღვრელია ამ საფუძვლით გარიგების ბათილობისათვის, რამდენადაც საცილოდ ბათილი გარიგება სწორედ იმით განსხვავდება უცილოდ ბათილი გარიგებისგან, რომ მისი ნამდვილობა კონტრაქტ პირთა მიერ შეცილებაზეა დამოკიდებული, სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მიზნით კი, სამოქალაქო კოდექსი გარიგების ნამდვილობის შედავების შემჭიდროვებულ ვადებს ითვალისწინებს. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში ეს ვადა ერთი წელია. შევილების კანონისმიერ ვადაში განხორციელების საკითხის კვლევისას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ვადის ათვლის წერტილის განსაზღვრას, რაც მოწესრიგებულია კანონითვე. იძულების თვისობრიობის, მისი ეფექტის დროში განგრძობადი ბუნების გათვალისწინებით, კანონმდებელი შევილების ვადის ათვლას იძულების დამთავრების მომენტს უკავშირებს. როგორც იურიდიული დოქტრინაში, ასევე, სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, იძულების დამთავრების მომენტი დაკავშირებულია არა უშუალოდ საცილო გარიგების დადებასთან, არამედ დროის იმ მონაკვეთთან, როდესაც შევილების უფლების მქონე თავისუფლდება იძულების წნეხისგან მისი სუბიექტური წარმოდგენის თანახმად (სსკ-ის 89-ე მუხლის კომენტარი, გიორგი რუსიაშვილი, გვ.526, <http://ewmi-prolog.org/images/files/9994CCCvoll.pdf> სუსგ. *ნას415-398-2016*, 23.08.17წ). ამ კონტექსტში საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სარჩელის შინაარსს. მოსარჩელე 2021 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში დაბრუნების საფუძვლად იმ გარემოებაზე აპელირებს, რომ მასა და მის ოჯახს საფრთხე აღარ ემუქრებოდათ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსარჩელის მიმართ იძულებამ მისი ზემოქმედებითი ეფექტი სწორედ ამ დროს დაკარგა, იძულებით გამოვლენილ ნებას კი, მოპასუხისადმი მიმართვით მხოლოდ სამი წლის თავზე 2015 წლის 21 იანვარს შეეცვლა. საკასაციო პალატის განსჯით, ამ მხრივ მოპასუხემ წარმატებით დაძლია მოსარჩელის მიერ შევილების ვადის დარღვევის მტკიცების ტვირთი.

23.1. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ მის მიმართ მუქარა 2012 წლის შემდგომაც და გარკვეულწილად სარჩელის აღძვრის შემდეგაც გრძელდებოდა. მოსარჩელის/კასატორის ეს მტკიცება სარჩელში მითითებული საწინააღმდეგო გარემოების პირობებში საჭიროებდა სარწმუნო მტკიცებულებებით გამყარებას. კასატორი ამ გარემოების სამტკიცებლად მოწმის სახით დაკითხული მისი მეუღლის ჩვენებაზე მიუთითებს, მარტოოდენ მოწმის ჩვენება (თანაც დასაქმებულის ოჯახის წევრის) კი, სხვა მტკიცებულებებზე მითითების გარეშე საკმარისი არ არის.

24. საგულისხმოა ისიც, რომ მოსარჩელის გარდა, 2012 წლის ივნისიდან ოქტომბრამდე პერიოდში დამსაქმებელი კომპანიიდან იძულების საფუძველზე გათავისუფლდა არაერთი დასაქმებული, რომელთა ნაწილი თავად დამსაქმებლის

ინიციატივით, ნაწილი კი, სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებში დავის მოგების შედეგად აღდგა თანამდებობაზე. დამსაქმებლის კეთილი ნება, თანამდებობაზე აღედგინა საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული თანამშრომლები, ხოლო, იმ იძულებულ პირთა მიერ სამოქალაქო დავის წარმოება, ვინც არ აღადგინეს დამსაქმებლის ნებით, სასამართლოს განუმტკიცებს საფუძვლიან ვარაუდს, რომ დამსაქმებელი კომპანიიდან იძულების შედეგად გათავისუფლებულ პირთა, მათ შორის - მოსარჩელის მიმართ ან შეწყდა იძულება, ან მაიძულებლის მოქმედებას აღარ ჰქონდა პირთა ნებაზე ზემოქმედების უნარი. კანონმდებელი კი, მხოლოდ ისეთი იძულების განგრძობადობას უკავშირებს შეცილების ვადის განსაზღვრას, რომელსაც იძულების ადრესატის ნების მოდრეკის უნარი შესწევს.

25. ამრიგად, სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მიერ შეცილების ვადის გაშვების, და, აქედან გამომდინარე, იძულებით დადებული გარიგების შეცილების უფლების გაქარწყლების თაობაზე სწორად დაასკვნა, თუმცა, სარჩელის სამართლებრივი საფუძვლიანობის შეფასებისას არასწორად დაეყრდნო მხოლოდ საცილო გარიგების შეცილების უფლების დაკარგვას, რამაც საბოლოოდ დავის არასწორად გადაწყვეტის სამართლებრივი შედეგი განაპირობა.

26. დავის გადაწყვეტის ამოსავალ წერტილს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის სწორად იდენტიფიკაცია წარმოადგენს. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძვლებთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას - ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს. (*იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჰანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.*) მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და სასურველია, მათი აღრევა თავიდან იქნეს აცილებული. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის არჩევანის უფლება მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაცაა (*იხ. ჰ. ბოელინგი, ლ. ჰანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.*). ამრიგად, მოსარჩელემ სწორად უნდა მიუთითოს ფაქტები, რაზეც აფუძნებს საკუთარ მოთხოვნას და აარჩიოს მისთვის ხელსაყრელი სამართლებრივი მექანიზმი, თუმცა საქმეზე დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია, საკუთარი მიხედვლებით მიუსადაგოს განსახილველ შემთხვევას რელევანტური სამართლებრივი მექანიზმი.

27. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ რამდენიმე მოთხოვნის საფუძვლის თავმოყრის შემთხვევაში, **სასამართლო უფლებამოსილია, შეამოწმოს ყველა გასათვალისწინებელი მოთხოვნის საფუძველი, თუ ერთ-ერთი მათგანი საერთოდ (ან სრულყოფილად) ვერ მიუახლოვდება მოსარჩელის მიერ დასახულ და სასურველ შედეგს** (*იხ. სუსგ № ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი*). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე უთითებს, რომ აიძულებს სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა. იძულების ფაქტზე დაყრდნობით მოსარჩელის სარჩელის საფუძვლიანობა შეიძლება გამომდინარეობდეს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებიდან (976-979 მუხლებიდან), როდესაც იძულების ადრესატის მიერ დაცულია სსკ-ის 89-ე მუხლით გათვალისწინებული შეცილების ერთწლიანი ვადა, ხოლო, ამ საკანონმდებლო მოთხოვნის უგულებელყოფის შემთხვევაში, **უნდა შემოწმდეს, ხომ**

არ გამოძინარეობს მოსარჩელის მიერ დასახული სამართლებრივი შედეგი - სამსახურიდან გათავისუფლებამდე არსებულ შრომით უფლებებში აღდგენა კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველიდან, კერძოდ, დელიქტიდან. აღსანიშნავია, რომ „იძულება იმდენად აშკარად და უხეშად ხელყოფს ნების თავისუფლების მდგომარეობას, რომ ზოგჯერ იგი დელიქტის სახესაც ღებულობს“, „...შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 408-ე და 992-ე მუხლების წესები. ზიანი უნდა ანაზღაურდეს მისგან დამოუკიდებლად, ნების გამოვლენა შეცლებულია თუ არა. ამდენად, მოთხოვნა ზიანის ანაზღაურებაზე შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთწლიანი ვადის გასვლის შემდეგაც [ბ. ზოიძე, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, წიგნი პირველი, თბილისი, 2001 წ., გვ. 246, 252].

28. აღნიშნული მსჯელობა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განმარტებას, რომლის თანახმად, კანონით დადგენილ ვადაში შეცილებების განუხორციელებლობის შემთხვევაშიც, თუკი იკვეთება პირის ნების თავისუფალ ფორმირებაში აშკარა და უხეში ჩარევა, დაზარალებულს უფლება აქვს, ზიანის ანაზღაურებაზე მოთხოვნა დააფუძნოს დელიქტურ ნორმებს. დიდი პალატის მითითებით, „თუკი იძულებისა და მოტყუების საფუძველზე, შემცილებელ პირს ადგება ზიანი, ასეთ შემთხვევაში, როგორც იძულება, ისე, მოტყუება უნდა განვიხილოთ არა მარტო, როგორც გარიგების ბათილობის სახელშეკრულებო გარემოებანი, არამედ - როგორც დაუშვებელი მოქმედებანიც (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება № ას-664-635-2016, 02.03.2017წ., 212-213 პუნქტები).

29. კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, დასაქმებულის მიერ სამსახურიდან წასვლის თაობაზე იძულებით გამოვლენილი ნების საფუძველზე დამსაქმებლის მიერ მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის თაობაზე ბრძანების ბათილად ცნობის, განაცდურის ანაზღაურებისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნათა სამართლებრივი საფუძველიანობა სსკ-ის სსკ-ის 992-ე (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია, აუნაზღაუროს მას ეს ზიანი), 998-ე (თუ ზიანის დადგომაში მონაწილეობს რამდენიმე პირი, ისინი პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები. ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით), 408-ე მუხლის პირველი ნაწილი(იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლების დანაწესიდან გამომდინარეობს.

30. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულების წინაპირობებია: მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ზიანი, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის, ზიანის მიმყენებლის ბრალი. პირს ზიანის ანაზღაურება დაეკისრება, თუ არსებობს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული ოთხივე წინაპირობა („გენერალური დელიქტი“). „გენერალური დელიქტის“ ერთ-ერთი მთავარი პირობა მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა. თუკი ასეთი ქმედება არ არსებობს, მაშინ დელიქტის შემადგენლობის სხვა წინაპირობების შემოწმება ზედმეტია. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება არამართლზომიერი მოქმედებაა. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. არის თუ არა მოთხოვნა მართლსაწინააღმდეგო, ეს სხვადასხვა სახის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევაში განსაზღვრავს სსკ-ის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების კონკრეტული ნორმები.

ეს საკითხი ყოველ კოპოეტულ თეთიფევათი უსდა თეათოფოს სასათათლოთ(იი. სუსგ №ას-332-317-2016, 2016 წლის 9 დეკემბერი).

30.1. მოსარჩელე უთითებს მუქარისა და ზეწოლის ქვეშ ნების გამოვლენის ფაქტზე. პირის იძულება, სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ნების საწინააღმდეგოდ მიიღოს გადაწყვეტილება, თავისი ხასიათით წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ვინაიდან, ასეთი ქმედება არღვევს საქართველოს კონსტიტუციით უზრუნველყოფილ ადამიანის ისეთ უმნიშვნელოვანეს უფლებებს, როგორცაა - შრომის თავისუფლება (რომელიც, თავის თავში, მოიცავს როგორც ადამიანის არჩევანს, დასაქმდეს სასურველ თანამდებობაზე, ასევე თავისუფალი ნების გამოვლენის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება სამუშაოზე უარის თქმის შესახებ) და ადამიანის პიროვნული განვითარების თავისუფლება, რამდენადაც ნების იძულებით დათრგუნვა მართლსაწინააღმდეგო მუქარის ხარჯზე ადამიანის პიროვნების თავისუფლად, მისი ნებისამებრ განვითარების შესაძლებლობას სპობს. რაც შეეხება ზიანის მიმყენებლის ქმედების ბრალეულობას, ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისას, ბრალი ივარაუდება, ამ ვარაუდის გაქარწყლების მტკიცების ტვირთი მოვალეს ეკისრება (*სუსგ №ას-791-758-2016, 29.12.2016წ.*).

30.2. სადავო შემთხვევაში ზიანის ოდენობა განისაზღვრება დასაქმებულის შემოსავლის იმ რაოდენობით, რამდენსაც მიიღებდა შრომის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ზიანის მიზეზობრიობას, კი ადასტურებს ის ფაქტი, რომ იძულების გარეშე მოსარჩელე სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე ნებას არ გამოავლენდა. მიზეზობრივი კავშირის კომპონენტის შეფასების კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოპასუხის ქმედების ურთიერთმიმართების შეფასება მოსარჩელის მიმართ მიყენებული ზიანის მიმართ. მოპასუხის დელიქტური პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის აუცილებელია იძულება უშუალოდ მოპასუხისგან მომდინარეობდეს ან სულ მცირე უნდა დასტურდებოდეს სსკ-ის 998-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები - მოპასუხის თანამონაწილეობა მოსარჩელისათვის ზიანის მომტან ქმედებაში, რადგან ზიანისათვის პასუხს აგებს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც ის დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო. საკასაციო პალატა მოწმეთა ჩვენების სარწმუნოობას აფასებს საქმის ფაქტობრივ გარემოებებსა და სხვა მტკიცებულებებთან შეპირისპირების ფარგლებში და განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების პერიოდში (მოსარჩელე თანამდებობიდან გათავისუფლდა 18.06.12.წ), დროის მოკლე შუალედში ადგილი ჰქონდა დამსაქმებელი კომპანიიდან პირადი განცხადების საფუძველზე დასაქმებულთა მასობრივ გათავისუფლებას. საყურადღებოა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებაც, რომლითაც მოპასუხეს, დასაქმებულთა ნებაზე მართლსაწინააღმდეგო ზეგავლენის საფუძველით დასაქმებულთა თანამდებობაზე აღდგენის ვალდებულება დაეკისრა. შესაბამისად, როდესაც ანალოგიურ პირობებში და საფუძვლებით, დროის ერთსა და იმავე შუალედში გათავისუფლებულ პირთა მიმართ დადასტურებულია დამსაქმებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, მოწმეთა ჩვენების სანდოობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ იკვეთება. პრეზუმირებულია, რომ ივნისიდან ოქტომბრამდე საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებული ყველა დასაქმებული (მოსარჩელის ჩათვლით) ერთგვაროვან პირობებში იმყოფებოდა, ისინი იძულების პროცესის კოლექტიურ მსხვერპლს წარმოადგენდნენ. გონივრული განჭვრეტადობის ფარგლებში ძნელი წარმოსადგენია დროის მოკლე შუალედში დასაქმებულთა კოლოსალურ რაოდენობას პირადი განცხადების საფუძველზე განეზრახა სამსახურიდან წასვლა. ამ საეჭვო და უჩვეულო გარემოების საწინააღმდეგოდ მოპასუხის შესაგებელი სამართლებრივად ვარგის

არგუმენტაციას არ შეიცავს.

31. ამრიგად, სახეზეა დელიქტური პასუხისმგებლობის განმაპირობებელი ყველა წანამძღვრი, რაც სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას ქმნის.

32. საკასაციო პალატის განსჯის საგანია სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის მართებულობის განსაზღვრაც, ამ საკითხთან მიმართებით საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს დასაქმებულთან გაფორმებული შრომის ხელშეკრულების პირობებს, რომლის თანახმად მოსარჩელესთან დადებული უკანასკნელი შრომის ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 2012 წლის 2 ნოემბრით. ხელშეკრულების მოშლის დროისათვის მოქმედი შრომის კანონმდებლობა (ხელშეკრულების შეწყვეტის მომწესრიგებელ ნორმაში შესული ცვლილებები ამოქმედდა 04.07.2013წ.) არ ითვალისწინებდა ხანგრძლივი ვადით მიმდევრობით დადებული ვადიანი შრომის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად ტრანსფორმაციის შესაძლებლობას, შესაბამისად, მოსარჩელე დასაქმებულთან იმყოფებოდა ვადიან და არა უვადო შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე, არ არსებობს მოსარჩელის სამსახურში აღდგენისა და აღდგენამდე განაცდურის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი. ამ საკითხზე კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რისი გათვალისწინებითაც სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, განავრცოს სამართლებრივი მსჯელობა. საკასაციო პალატა მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოიფარგლება, რომ, ვინაიდან დასაქმებულს არამართლზომიერად არ მიეცა შესაძლებლობა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეესრულებინა სამსახურეობრივი მოვალეობები და მიეღო შესაბამისი ანაზღაურება, სამართლიანი იქნება, მოპასუხეს დაეკისროს კომპენსაციის გადახდა (**შდრ.სუსგ.-ებები: Nას-1276-1216-2014, 18.03.2015წ., Nას-368-342-2017, 24.05.2017წ., Nას-1327-1265-2014წ., 29.01.2016წ.**). ასეთ დროს ანაზღაურდება შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიუღებელი თანხა, ვინაიდან პრეზუმირებულია, რომ დასაქმებული სახელშეკრულებო პერიოდში შეასრულებდა შრომით მოვალეობებს (**შდრ.სუსგ.: N ას-247-2020, 19.03.21წ, Nას-1276-1216-2014, 18.03.2015წ., Nას-368-342-2017, 24.05.2017წ.,; Nას-862-862-2018, 15.03.2019წ.**).

33. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, რადგან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

34. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გაწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

გადაწყვეტილებების სამიზო სისტემა
აიდეად, მოასუიეს მოსაოიელის სასოგეილოდ უიდა დეეკისოოს საიელსიფო
ბაჟის - 550 ლარის, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში ბაჟის - 3 557.25 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გადაწყვეტა:

1. დ.ქ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატის 2018 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი
გადაწყვეტილება.
3. დ.ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ:
 - 3.1. ბათილად იქნეს ცნობილი სს „თ-ს“ 2012 წლის 18 ივნისის №107-კ ბრძანება
დ.ქ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;
 - 3.2. სს „თ-ს“ დ.ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროს კომპენსაციის გადახდა 2012 წლის
18 ივნისიდან 2012 წლის 2 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, თვეში 15 810 ლარის
(დარიცხული) ოდენობით;
4. სს „თ-ს“ დ.ქ-ის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის - 550 ლარის
გადახდა;
5. სს "თ-ს" სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის
კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის № 200122900, სახაზინო კოდი 300773150)
სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი - 3 557.25 ლარი;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

მ. ერემაძე

მოსამართლეები:

თ. ზამზახიძე

ზ. ძლიერიშვილი

[«უკან»](#)

[«წინა შემდეგ»](#)